

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სააქციო საზოგადოება „ფეიქარი-95“

1. ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება „ფეიქარი-95“ დაფუძნებულია საიჯარო საწარმო ქ. თბილისის შალის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივის წევრების მიერ.

საზოგადოება შეიქმნა საიჯარო საწარმო-ქ. თბილისის შალის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივის მიერ გამოსყიდულ ქონების ბაზაზე, რაზეც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1994 წლის 14 დეკემბერს გაცემულია №180-ი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

გადაწყვეტილება საიჯარო საწარმოს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ მიღებული იქნა საიჯარო საწარმოს კოლექტივის საერთო კრების მიერ, რომელიც შედგა 1995 წლის 1 მაისს.

საზოგადოების აქციონერები /დამფუძნებლები/ არიან საიჯარო საწარმოს კოლექტივის ის წევრები, რომლებმაც საიჯარო საწარმოს ქონებიდან მიღებული წილი შეიტანეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში და შესაბამისად მიიღეს აქციები.

სააქციო საზოგადოება „ფეიქარი-95“ რეგისტრირებულია ქ. თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს მიერ 1995 წლის 13 ივნისს. რეგისტრაციის №7/5-1.

იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ალ. წულუკიძის ქ. №21

საზოგადოების საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი ჯემალ ალიბეგაშვილი.

კომპანიის ძირითადი მიზანია მოგების მიღება ნებისმიერი საქმიანობის გზით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საზოგადოებისა და დამფუძნებლების ინტერესებს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

1. კომპანიის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების საჭიროებისამებრ გამოყენება და მისი დროებით სარგებლობაში გადაცემა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით-უძრავი ქონების იჯარა.
2. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.
3. სხვადასხვა სახის სამუშაოების წარმოება და მომსახურეობის გაწევა.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში შეძლებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. შესაძლებელია განხორციელდეს ძირითადი საშუალებების გასხვისება/გადაცემის პროცედურა შემდგომ საანგარიშო პერიოდებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ფულად სახსრებთან და მათ ექვივალენტებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტის წარდგენა ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში- „მოგება ან ზარალი საკურსო სხვაობებიდან“, სხვა საკურსო სხვაობებთან ერთად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი
--	--------

კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677
----------------------------------	--------

კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766
----------------------------------	--------

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულებას ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

მოთხოვნები. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას. (აქ იგულისხმება საიჯარო მომსახურება).

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანიი ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

2015 წელში კომპანიის ხელმძღვანელობამ/დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაეწყოთ მრავალსართულიანი (კერძოდ, 17 სართულიანი) საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომლის მშენებლობაც დაიწყო 2016 წელს,

ამავე პერიოდის ბოლოს დაიწყო წინარე ხელშეკრულებების საფუძველზე პოტენციურ მესაკუთრეებზე ბინის ფართების მიწოდება. მყიდველების მიერ ხორციელდება საავანსოდ თანხების გადახდა, ხოლო საფასურის მთლიანად დაფარვის შემდეგ მესაკუთრისთვის ფართის გადაფორმება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ანუ, მყიდველისათვის ხორციელდება მიწოდება, შესაბამისად შემოსავლის აღიარება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 16 ივნისის ბრძანებით ექსპლოატაციაში შევიდა კომპანიის მიერ აშენებული პირველი კორპუსი. კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით აშენებული შენობის მე-17 სართულზე არსებული ფართი 310.60 კვ.მ რჩება საზოგადოების საკუთრებაში მასში შემდგომი სამეწარმეო საქმიონობის გაგრძელების კუთხით.

თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯი აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე და/ან შესაბამისი აღიარების პროცესის გავლის შედეგად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ მათგან მოსალოდნელი აღარ არის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა.

ხელფასების, ბონუსების და დანამატების აღრიცხვა

ხელფასების, ბონუსების და დანამატების დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს ბასს16 „ძირითადი საშუალებები“-ს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტიურ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას.

თუ აქტივის შემენისთვის გადახდის ვალდებულება გადავადებულია ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებში, სხვაობა მის ღირებულებასა და სრულ გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ძირითად საშუალებებზე გაწეული შემენის შემდგომი დანახარჯები, რომლებიც ზრდიან ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ვადას ან მისგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს კაპიტალიზირდება. ყველა სხვა ხარჯი კი აისახება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შედეგი აღიარდებ ამოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოშობისთანავე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი შესაძლო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებებისთვის ჯგუფს განსაზღვრული აქვს შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	მომსახურებისვადა
შენობები	20-50
მანქანა-დანადგარები	2-20
სატრანსპორტო საშუალებები	3-10
ოფისის აღჭურვილობა	2-12

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამის (ORIS Accounting)-ის სახით. იგი ბალანსში აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

სავაჭრო ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხების ღირებულებასა და მიღებული ავანსებისგან.

ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა ერთ წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნებისათვის

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები/განაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

მოგება-ზარალი:

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად.
- საწარმოს რეინვესტირებისათვის.
- სხვა დანიშნულებით პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.
- მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის საფუძველზე.

მოგების გადასახადი

- მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ელექტრო მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა საშუალებები	სულ
01.01.2019 წელი	46525.95	170246.89	243277.97	92556.25	43169.17	49673.43	5452.18	604375.89
მიღება 2019 წელი		18048.01	2484.33		8060.58	7274.11		35867.03
გასვლა 2019 წელი					1097.26	1398.31	184.32	2679.89
ცვეთა 31.12.2019			13968.27	15065.04	5651.27	15465.14	1916.37	52066.09
31.12.2019 წელი	46525.95	188294.90	231794.03	77491.25	44481.22	40084.09	3351.49	632022.93
მიღება 2020 წელი		6942.98	357060.47		2405.08			366408.53
გასვლა 2020 წელი	607		653.70	112.50	442.77	4101.02	106.27	6023.26
ცვეთა 31.12.2020			17130.87	14930.04	8222.36	14141.34	1139.67	55564.28
31.12.2020 წელი	45918.95	195237.88	571069.93	62448.71	38221.17	21841.73	2105.55	936843.92

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ისტორიული ღირებულება	საბუღალტრო პროგრამა	სულ
01.01.2019 წელი	1214.08	1214.08
მიღება 2019 წელი	463.56	463.56
გასვლა 2019 წელი	-	-
ცვეთა 31.12.2019	310.9	310.9
31.12.2019 წელი	1366.74	1366.74
მიღება 2020 წელი		
გასვლა 2020 წელი		
ცვეთა 31.12.2020	284.99	284.99
31.12.2020 წელი	1081.75	1081.75

7. მარაგები

მარაგები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2019	31.12.2020
სამშენებლო მასალები	-	-
ნედლეული/მზა პროდუქცია/სხვა მარაგები	1684573.09	631261.83
დაუმთავრებელი წარმოება	86160	110807.69
სულ	1770733.09	742069.52

8. საკუთარი კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 1894229 ლარს.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის კაპიტალი შეადგენს 894026 ლარს, საიდანაც ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვია 587280 ლარი.

2020 წელში კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება განეხორციელებინა მოგების განაწილება დივიდენდის სახით. 2020 წელში დარიცხულმა დივიდენდმა შეადგინა 1358398 ლარი, ხოლო გადახდილმა კი 676558 ლარი.

გადაფასების რეზერვი შედგება კომპანიის მიერ 2014 წელს ძირითადი საშუალებების ნაწილის გადაფასების შედეგად წარმოქმნილ ნამეტი თანხისგან.

კომპანიის საწესდებო (სააქციო) კაპიტალი შეადგენს 391023 ლარს.

9. დაუმთავრებელი წარმოება

დაუმთავრებელი წარმოება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს სამშენებლო პროექტზე გაწეულ ხარჯებს 110808 ლარს.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	35543.79	20917
გადახდილი ავანსები	155105.65	145328
წინასწარ გაწეული ხარჯი	5084.75	5084
სულ	195734.19	171329

11. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2019	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	299556.96	115570.80
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	450983.60	261533.48
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	-	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	12028.45	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	762569.01	377104.28

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	27823.48	26682.95
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები (ავანსი)	1509705.15	411486.41
საგადასახადო ვალდებულება	36537.47	209668.55
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	-	-
სულ ვალდებულება	1574066.10	647837.91

კომპანიის რისკების მართვა ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე.

დირექტორი _____ ჯ. ალიბეგაშვილი



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	377104	762569	166387
სავაჭრო მოთხოვნები	20917	35543	54431
გადახდილი ავანსები	145328	155106	69160
მარაგები	742070	1770733	3336131
მზა პროდუქცია		0	0
სხვა			
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	73935	208923	449998
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1082	1367	1214
ძირითადი საშუალებები	936844	632023	650902
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5084	5084	0
სულ აქტივები	2302364	3571348	4728223
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	26683	27823	29785
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	44855	33662	33662
საგადასახადო ვალდებულებები	209668	36537	52613
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	600000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	33806	69436	46323
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1093326	1509705	3108609
სულ ვალდებულებები	1408338	1677163	3870992
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	391023	391023	391023
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	-84277	915882	-121072
გადაფასების რეზერვი	587280	587280	587280
სხვა რეზერვები		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	894026	1894185	857231
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2302364	3571348	4728223
სულ მოკლევადიანი აქტივები	1359354	2932874	4076107
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1374532	1607727	3824669



ჯემალ ალიბეგაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	259829	1231597
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	1465	-36260
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-646620	-597444
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-385326	597893
სავალუტო კურსის ეფექტი	-139	-1711
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	762569	166387
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	377104	762569

დირექტორი



ჯემალ ალიბეგაშვილი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2020	2019
ნეტო ამონაგები	2323442	3656640
საქონლის გაყიდვიდან	1473236	2840835
მომსახურების გაწევიდან	849125	740294
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	1081	75511
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-935160	-1796683
საწყისი მარაგები	0	-3336131
მარაგების შესყიდვა	0	-231285
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	1388282	1859957
საერთო მოგება		0
სხვა შემოსავალი	-444910	-453751
დასაქმებულთა ანაზღაურება	-55849	-52377
ცვეთა და ამორტიზაცია	0	0
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი:	0	0
იჯარის ხარჯი	-263965	-300217
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-764724	-806345
სულ საოპერაციო ხარჯები	623558	1053612
საოპერაციო მოგება		
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		0
მარაგები		0
სხვა არაფინანსური აქტივები		0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		0
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-25649	1514
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	597909	1055126
მოგების გადასახადი		0
მოგება/(ზარალი)		1055126
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	597909	1055126
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1894185	857231
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1598113	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	45	-18172
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0
კაპიტალის საბოლოო პერიოდის ბოლოს	894026	1894185



ჯემალ ალიბეგაშვილი